პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 45 (20691) — ოთხშაბათი, 21 თებერვალი, 1990 წელი. — ფასი 3 კაპ.

# სიმართლე, იმედის დიდი ძალა

ჩვენი ცვალებადი და საოცრად დინამიკური დრო, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, უბრალოდ საშუალებას არ გვაძლევს ამოსუნთქვისათვის, გადაჭრით გამორიცხავს გულარხეინობისა და თვითკმაობის განწყობილებას, მძიმე ხარკად რომ გადმოგვყვა ავადსახსენებელი ეგრეთ წოდებული უძრაობის პერიოდიდან. ცხოვრება წამდაუწუმ წარმოაჩენს ხოლმე ერთი შეხედვით საკმაოდ მოულოდნელ, მაგრამ სინამდვილეში მყარად ფესვგადგმულ პრობლემებს, რომელთა გადაჭრისათვის შაბლონური გზა კარგა ხანია მოჭრილია. ახლა საჭიროა მოქმედება და მხოლოდ მოქმედება, რეალური პრაქტიკული შედეგები, დემოკრატიულ სანყისებზე კონსტრუქციული პროგრამებისა და კონცეფციების სახელდახელოდ შემუშავება და განხორციელება, რადგან დღევანდელობისათვის აგრერიგად დამახასიათებელი დესტაბილიზაციის, ათწლეულობით დაგუბებული სერიოზული საზოგადოებრივი კონფლიქტების, ეკონომიკური და სოციალური დეფორმაციების, ერთაშორისი ურთიერთობების უკიდურესი დაძაბვის, უდანაშაულო ადამიანთა სისხლისღვრის, ზნეობრივი და სულიერი დაქვეითების პირობებში დაყოვნება დანაშაულის ტოლფასია და ამას არავინ გვაპატიებს. ამიტომაც დგას დღის წესრიგში მთელ ცხოვრებასთან ერთად თვით პარტიის, მისი შინაგანი წყობისა და სტრუქტურების, მუშაობის ფორმებისა და მეთოდების ძირეული შეცვლის, ჰუმანური, დემოკრატიული სოციალიზმისაკენ ნინსვლის დაჩქარების სავსებით ნათლად გამოკვეთილი ამოცანები.

ამგვარ დაძაბულ, ერთდროულად ტკივილებითა და იმედებით აღსავსე ვითარებაში დრო გადამწყვეტი ფაქტორია და ამიტომაც გახშირდა ლაპარაკი რიგგარეშე ყრილობებისა თუ პლენუმების მოწვევაზე, ჩასატარებელ ღონისძიებათა ვადების შეჩქარდროვებაზე. ეს ახლაც დროის მნვავე ნაკლებობა, სკკპ XXVIII ყრილობამდე რამდენიმე თვეა დარჩენილი, უფრო ადრე კი, კერძოდ, აპრილში გაიმართება საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობა.

ბუნებრივია, ეს პარტიული ფორუმები მოწოდებული არიან ამომნურავი პასუხი გასცენ ზემოაღნიშნულ და მრავალ სხვა მნვავე კითხვას, მთელ საზოგადოებას, ხალხს მკაფიოდ დაანახვონ, თუ რამდენად ძალუძს პარტიას თვისებრივი თვითგანახლება, მის მიერვე ნამონყებული გარდაქმნის ლოგიკური დაგვირგვინება. ამ მხრივ ბევრ მნიშვნელოვან დებულებასა და ეპოქის მაჯისცემასთან მისადაგებულ დასკვნას შეიცავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის მიერ მოწონებული და საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოტანილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლატფორმის პროექტი პარტიის XXVIII ყრილობისათვის.

კერძოდ, მასში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ უნდა ვუერთგულოთ იდეებს: ხელისუფლება — საბჭოებს, ფაბრიკები — მუშებს. მინა — გლეხებს, მშვიდობა — ხალხებს, თავისუფალი თვითგამორკვევა — ერებს. საჭიროდაა მიჩნეული, რომ ჩვენს ქვეყანაში რაც შეიძლება მალე ჩამოყალიბდეს მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის სამართლებრივი გარანტიები. მითითებულია იმაზეც, რომ საზოგადოებრივი განვითარება არ გამორიცხავს ახალ პარტიათა შექმნის შესაძლებლობას, რომ ერებს აქვთ თვითგამორკვევის უფლება თვით გამოყოფამდე და პარტია მხარს უჭერს ამ უფლებათა რეალიზაციის მექანიზმის შესახებ კანონის შემუშავებას. პლატფორმის პროექტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა დამოუკიდებლობის საკითხის სწორ გადაჭრას, მიუღებლად თვლის მათდამი სკკპ ცენტრალური ორგანოების უწინდელ მეურვეობას.

მაგრამ გზა ჩანაფიქრიდან რეალობამდე ია-ვარდით მორთული როდია, მიზნის მისაღწევად საჭიროა დაუოკებელი ძიება და რუდუნებით მუშაობა. ამასთან დაკავშირებით სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მთავრობა ჯანსაღ საზოგადოებრივ ძალებზე დაყრდნობით ახორციელებენ ქმედით ღონისძიებებს კრიზისული მოვლენების დასაძლევად, ამასთანავე ოდნავადაც არ კმაყოფილდებიან მიღწეულით, მოურიდებლად ამხეურებენ ნაკლოვანებებსა და ხარვეზებს, სახავენ ვითარების სტაბილიზაციის, სახალხო ინტერესების დაცვის ახალ გზებსა და საშუალებებს. ყოველივე ამის შესახებ პირდაპირი და პირუთვნელი ლაპარაკი იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელ პლენუმზე, რომელმაც გააანალიზა გაწეული მუშაობა, მოიწონა კოლექტიური განსჯის შედეგად შემუშავებული ეროვნული განვითარების კონცეფცია, მიიღო განცხადება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოსა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტებში პრინციპულად და საფუძვლიანად გაშუქებულია საქართველოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული პრობლემები, მითითებულია, რომ სულ უფრო კონსტრუქციული ხდება დიალოგი სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობასთან. ფაქტობრივად ეს აღმოჩნდა მრავალპარტიულობის ფარგლებში მუშაობის პირველი გამოცდილება. ახლა მთავარია ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა გაითავისონ პრესაში უკვე გამოქვეყნებული ეროვნული კონცეფციის იდეები და მიზანდასახულობანი, გააცნონ იგი თითოეულ კომუნისტს, თითოეულ ადამიანს, ყველა დონესა და რგოლში შეიმუშაონ ამ მიმართულებით საქმიანობის კონკრეტული პროგრამა. საჭიროა გზა გავუსნსათ ალტერნატიულ წინადადებებს, კონსტრუქციულ იდეებსა და პოზიციებს, ვიპოვოთ ურთიერთმისაღები კომპრომისები ყველაზე პოპულარულ მოსაზრებათა გარშემოც კი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი თვლის, რომ საჭიროა გულახდილი პასუხი გაეცეს ყველაზე საჭირბოროტო საკითხებს, რომლებიც დღეს აღელვებთ ქართველ ხალხს, რესპუბლიკაში მცხოვრებ სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებს. პირველ რიგში ეს შეეხება რესპუბლიკის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტრუქტურების გარდაქმნას, საკუთრივ პარტიის სტატუსს, მის როლსა და ადგილს განახლებულ საზოგადოებაში. მიზანშეწონილად მიჩნეულია სამართლებრივი სახელმწიფოს შესაქმელად პოლიტიკური პლურალიზმის დამკვიდრება და სსრ კავშირის კონსტიტუციიდან მეექვსე მუხლის ამოღება. საქართველოს კომპარტია უნდა იყოს დამოუკიდებელი, ჰქონდეს საკუთარი სტატუსი, რათა მაქსიმალურად გაითვალისწინოს საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებანი. საჭიროა გადაისინჯოს კომუნისტური პარტიის ამჟამად მოქმედი პროგრამის მთელი რიგი პრინციპული დებულებანი, რომლებიც არ ითვალისწინებს ობიექტურ რეალობებს, ეროვნულ ინტერესებს, საერთო-საკაცობრიო ღირებულებებსა და იდეალებს. აქტუალურ ამოცანებად მიჩნეულია რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევა, დიდნაყოფიერი შრომისათვის სათანადო სტიმულების შექმნა, სოციალური სამართლიანობის პრინციპების განუხრელი დაცვა, მიტმასნილი ბიუროკრატების, მექრთამეების, საქმოსნების, კორუფცირებული ელემენტებისაგან პარტიული რიგების უფრო ენერგიულად განთავისუფლება, მთელი ზნეობრივი კლიმატის გაჯანსაღება, რადგან განწმენდა და კრიტიკული თვითანალიზი სჭირდება არა მარტო პარტიას, არამედ მთელ საზოგადოებრივ ორგანიზმს, ყველა მის ოფიციალურ და არაოფიციალურ სტრუქტურას, ყოველ ჩვენგანს.

ასეთია გეგმები და მიზნები, რომლებიც სერიოზულ დაფიქრებას და კონკრეტულ გადაწყვეტას მოითხოვენ.

ამის უზრუნველსაყოფად უპირველესად საჭიროა პარტიული და მოქალაქეობრივი გაბედულება, დრომოჭმული სტერეოტიპებისაგან განთავისუფლება, მოვლენებისადმი სრულიად ახლებური მიდგომა, მასშტაბური და ორგანიზაციური აზროვნება.

ამისათვის აუცილებელია პირადი და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის ამაღლება, საკუთარი წვლილის უანგარო და დაუშურველად გაღება, როგორც იტყვიან, შესაძლებლობათა ბოლომდე დახარჯვა, რადგან საქმე ეხება საუკუნოებრივი იდეალების ხორცშესხმას, მსოფლიო ცივილიზაციის ზიარებას, დაკარგული რწმენის აღდგენას.

ამისათვის გეგმრთებს სიბრძნე და ნინდახედულობა, ისტორიული შანსის რაც შეიძლება მოხერხებულად გამოყენება, მხოლოდ ისეთი მოქმედება, რაც უზრუნველყოფს მთელი საზოგადოებრივი ძალების კონსოლიდაციას, გათიშულობის დაძლევას, პირადულ და ვინიროჯგუფობრივ ინტერესებზე საქვეყნოსა და საზოგადოს გამარჯვებას.

# საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

**თავის** მორიგ სხდომაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა პარტიის ლენჩხუთის რაიკომის პირველი მდივნის ე. ბერიძის ანგარიში იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობს რაიონი საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების მზადებისათვის: აღინიშნა, რომ დემოკრატიზაციისა და პლურალიზმის პირობებში უაღრესად საჭიროა ვიქნეთ მკაფიო პოზიცია. მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი სრულფასოვანი, კონსტრუქციული დიალოგი ნებისმიერ, ყველაზე მწვავე საკითხის განხილვისას. არჩევნებმა უნდა წარმოაჩინოს ხალხის ნება-სურვილი და გამოხატვის ნამდვილი თავისუფლება, წარიმართოს კანონის დემოკრატიული სულისკვეთების შესაბამისად, ისე რომ ოდნავადაც კი არ დაირღვევს იგი. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ დიქტატის, ადამიანებზე ზეგავლენის, მათი უფლებების შელახვის, საარჩევნო კამპანიის პროცესში ვინმესათვის, ვინც უნდა იყოს იგი, პრივილეგიური პირობების შექმნის რაიმე ცდა. დავიცვათ საუკეთესო ეთიკური, ზნეობრივი და ჰუმანური ნორმები და ტრადიციები.

განიხილა რა საკითხი საქართველოს სსრ შრომითი რესურსების რაციონალური დასაქმების უზრუნველყოფის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების შესახებ, ბიურომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ძირეულად უნდა გარდაიქმნას მუშაობა გამოთავისუფლებული მუშაკების შრომითი მოწყობის, საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში შრომისუნარიანი მოსახლეობის დაუსაქმებელი ნაწილის ჩაბმისათვის. აქედან გამომდინარე, საჭიროა გაცხოველებული მუშაობა საწარმოების, ფილიალების, საამქროების, უბნების მშენებლობის, გაფართოებისა და რეკონსტრუქციისათვის, უნდა შეექმნათ ახალი სამუშაო ადგილები, გამოვიყენოთ შიგასაწარმოო რეზერვები, გავაუმჯობესოთ სოციალურ-საყოფაცხოვრებო და შრომითი პირობები მუშაობის ცვლიანობის კოეფიციენტის ზრდისათვის, უფრო ფართოდ დავნერგოთ იჯარული და ოჯახური ნარდი, აქტიურად შევეწყოთ ხელი კოოპერაციული საქმიანობის განვითარებას და მივაღწიოთ სრულ შეწონასწორებას შრომით რესურსებსა და სამუშაო ადგილებს შორის.

ბიურომ განიხილა საკითხი 1989 წელს სამრეწველო პროდუქციის მიწოდების გეგმის შესრულების მდგომარეობისა და ხელმძღვანელი კომუნისტების პასუხისმგებლობის ამაღლების შესახებ და აღნიშნა, რომ სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებმა, საწარმოებისა და ორგანიზაციების შრომითმა კოლექტივებმა, რესპუბლიკის პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა მკვეთრად გააუარესეს სახელშეკრულებო დისციპლინა, რასაც გარკვეულწილად ხელი შეუწყო ამიერკავკასიაში, და კერძოდ რესპუბლიკაში არსებულმა დაძაბულმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ვითარებამ. ამას მოჰყვა ცალკეული საწარმოების გაჩერება, ზარი შეფერხებები რკინიგზისა და ავტოტრანსპორტის მუშაობაში, ელექტროენერგიის მწვავე დეფიციტი.

პროდუქციისა და საქონლის მიწოდების სახელშეკრულები ვალდებულებათა უზრუნველყოფისათვის რესპუბლიკის პარტიული კომიტეტების, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მუშაობა არადამაკმაყოფილებლად არის მიჩნეული. დასახულია საქმიანობის აქტივიზაციის კონკრეტული ღონისძიებანი ამ საქმეში „ვიწრო“ ადგილების ლიკვიდაციისა და ჩამორჩენის დაძლევის მიზნით.

განიხილეს რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში პარტიის XXVIII ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლატფორმის განხილვის საკითხი.

მოიწონა რა პროექტში ჩამოყალიბებული დებულებები და დასკვნები, ბიურომ ისინი მიიჩნია საყრდენ პუნქტებად საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ყველა სფეროს შემდგომი დემოკრატიული განახლების, პარტიის რეფორმის. გარდამავალ პერიოდში მისი ღრმა გარდაქმნის გზების ძიებაში.

საქართველოს კომპარტიის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, რაიონულ, საქალაქო, საოლქო კომიტეტებს წინადადება მიეცათ ამ საფუძველზე გაშალონ საყრილობო დისკუსია, რომლის დროსაც მკაფიოდ უნდა განსაზღვრონ თავიანთი პოზიცია პლატფორმის პროექტში აღნიშნული პრობლემების მიმართ. იღვაწონ, რომ თვით დისკუსია გახდეს პარტიული მუშაობის განახლების, კომუნისტთა გააქტიურების, საზოგადოების კონსოლიდაციის, გარდაქმნითი აზროვნებისა და მორალის განვითარების სტიმული.

მასობრივი ინფორმაციის რესპუბლიკურმა და ადგილობრივმა ორგანოებმა აქტიურად უნდა ასახონ და მიზანმიმართულად ჩამოაყალიბონ საზოგადოებრივი აზრი პლატფორმაში ასახული იდეების კონსტრუქციული განხილვის მიმართულებით, რომელთა რეალიზაცია წინასწარ განსაზღვრავს საზოგადოების სახეს. უზრუნველყონ მშრომელთა ფართო სპექტრის წინადადებების, შენიშვნებისა და დამატებების, სპეციალისტების, მეცნიერების, იდეოლოგიური აქტივის ანალიზური სტატიების პუბლიკაცია, და დაუკავშირონ ისინი საარჩევნო კამპანიის ამოცანებს.

ბიურომ განიხილა აგრეთვე რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამეურნეო ცხოვრების სხვა საკითხები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომის დაწვრილებითი ანგარიში გამოქვეყნდება პრესაში.

(საინფორმი).

# დაასახელეს დეპუტატობის კანდიდატები

**განვაგრძობთ იმათ წარმოდგენას, ვინც დაასახელეს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად**

**დეპუტატობის** კანდიდატებად დასახელებული ყარიან:

ლენტეხის რაიონის სოფელ ცანის სამოთქმიფიური ქარხნის დირექტორი **გრიგოლ კონსტანტინეს ძე ონიანი** — ლენტეხის რაიონის ყახუნდერის საუბნო საავადმყოფოს შრომითი კოლექტივისაგან.

საქართველოს მწერალთა კავშირის თარგმანთა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგიის მეცნიერული რედაქტორი **ამირან ხერგის ძე კალაძე** — საქართველოს სახალხო ფრონტისაგან.

გამომცემლობა „მერანის“ წამყვანი რედაქტორი **გრიგოლ გეროლგის ძე ჯულუხიძე** — სამტრედიის რაიონის ნაბაკევის სასოფლო საბჭოს სოფელ ჩხენიშის ამომრჩევლებისაგან.

ვანის №1 საშუალო სკოლის მასწავლებელი **გია გურამის ძე მიქელაძე** — საქართველოს სახალხო ფრონტის ვანის რეგიონული ორგანიზაციისაგან.

თბილისის რესპუბლიკური საავადმყოფოს ექიმ-ორდინატორი **მალხაზ აკაკის ძე ბურკაძე** — საქართველოს სახალხო ფრონტის ვანის რეგიონული ორგანიზაციისაგან.

ვანის ცენტრალური საავადმყოფოს ექიმ-ორდინატორი **ლამარა (დოდო) გრიგოლის ასული ძაგნიძე** — სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ვანის რაიონული ორგანიზაციისაგან.

სამხედრო მოსამსახურე **სპარტაკ მაქიმეს ძე შახნაზარიანი** — №-ის საჯარისო ნაწილის ამომრჩევლებისაგან.

ტრესტ „საქსოფლმშენის“ თბილისის მექანიზებული კოლონის მემონტაჟეთა ბრიგადის ბრიგადირი **ვალერიან ზაქარიას ძე მელიწკაური** — ამ კოლონის შრომითი კოლექტივისაგან.

საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე **ელგუჯა დავითის ძე ამაშუკელი** — სსრ კავშირის აგრომრეწვბანკის ქ. თბილისის გლდანის რაიონული განყოფილების შრომითი კოლექტივისაგან.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე **სოლომონ გიორგის ძე ხუციშვილი** — საქართველოს სახალხო ფრონტისაგან.

თბილისის კალინინის რაიონის იურიდიული კონსულტაციის გამგე **აკაკი გრიგოლის ძე გოგობერიშვილი** — თბილისის ომისა და შრომის ვეტერანთა საქალაქო საბჭოსაგან.

(გაგრძელება მე-3 გვ.).

# ალვადგინოთ სამართლიანობა

**ისტორიული** სამართლიანობის აღდგენის არცთუ ადვილი საქმე დაეკისრა ჩვენს თაობას. თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ ვუახლოვდებით ქუშმარიტების შეცნობას, ვცდილობთ უფრო ღრმად შევიგნოთ ამ ცოტა ხნის წინანდელი წარსულის ფაქტები და მოვლენები, რათა თავიდან ავიცილოთ ბოროტება მომავალში. ჩვენს მეხსიერებაში განსაკუთრებული ადგილი უკავიათ იმათ, ვინც რეპრესირებული აღმოჩნდა ჩვენი ისტორიის უმძიმეს წლებში.

დღეს ეულიტკიანით ვკითხულობთ ძუნწ სტრიქონებს:

... მსჯავრდადებულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს კოლეგიასთან არსებული საგანგებო თათბირის მიერ 1928, 1929 და 1932 წლებში როგორც არალეგალური ტროცკისტული ორგანიზაციის წევრი.

...მსჯავრდადებულია ანტისაბჭოური პროპაგანდისა და აგიტაციის ბრალდებით შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის გადაწყვეტილებით 1937 წელს.

...ალექსანდრე მატკავა, ვლადიმერ დუმბაძე, ეფრემ ხუბუკელაშვილი, ამბერკი ხარატიშვილი და კიდევ სხვადასხვა ბედის მქონე ასობით და ათასობით ადამიანი, რომლებსაც წიალად ხვდათ ერთი და იგივე ხვედრი — ბანაკებსა და გადასახლებაში დასაღუპავად განწირულის ხვედრი. ზოგიერთი მათგანი აღარ დაბრუნებულა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საოლქო კომიტეტების პარტიული კონტროლის კომისიათა შესაბამის მიხედვით 1989 წელს განხილულია 263 საქმე პარტიაში აღდგენის თაობაზე. მათგან მხოლოდ ექვსმა მოაღწია დღემდე.

ეს და სხვა ფაქტები მოიყვანეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის კოორდინაციის სამუშაო ჯგუფის მორიგ სხდომაზე, რომელიც გაიმართა რესპუბლიკაში იმ პირთა სამართლებრივი და პარტიული რეაბილიტაციის საკითხებზე, რომლებიც უსაფუძვლოდ იყვნენ რეპრესირებული 30-40-იან წლებში და დ 50-იანი წლების დამდეგს.

სამუშაო ჯგუფის სხდომას უძღვებოდა მისი თავმჯდომარე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ალექსანდრე პავშენცევი.

მრავალრიცხოვანი საარქივო-სისხლისსამართლებრივი საქმეები, აღინიშნა სხდომაზე, მოწმობს, რომ ის პირნი, რომელნიც სამართლიან კრიტიკულ შენიშვნებს გამოთქვამდნენ პარტიისა და მთავრობის ცალკეული ხელმძღვანელების, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების, კოლეგიურნეობათა თავმჯდომარეების, საწარმო-დაწესებულებათა ადმინისტრაციის მიმართ, სამართალში ეძახოდნენ და მსჯავრდადებული იყვნენ, როგორც მძიმე კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის, ხოლო ის პირნი, რომლებიც უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ ცხოვრების მძიმე პირობებისა და იმის გამო, რომ უზრუნველყოფილი არ იყვნენ ხელფასით, ბინითა და სხვა სიკეთით, მიჩნეული იყვნენ როგორც ძირგამომთხრელი ელემენტები, რომლებიც ანტისაბჭოურ, კონტრრევოლუციურ აგიტაციას ეწეოდნენ.

შარშან რესპუბლიკის პროკურატურამ გადასინჯა 1110 საქმე იმ პირთა მიმართ, რომლებიც რეპრესირებული იყვნენ 30-40-იან წლებში და 50-იანი წლების დამდეგს. აქედან 1391 პირის მიმართ, 1022 საქმის გამო შეტანილია პროტესტები საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოში, ხოლო 84 პირის მიმართ 43 საქმის გამო გაიგზავნა პროტესტების პროექტები სსრ კავშირის პროკურატურაში სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პლენუმზე მათი გამოტანისათვის. შესაბამისი მუშაობა მიმდინარეობს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის საგამოძიებო განყოფილებაშიც. მათ უკვე მოამზადეს დასკვნები 11203 კაცის სამართლებრივი რეაბილიტაციისათვის. 1989 წელს უმაღლესი სასამართლოს მიერ რეაბილიტირებულია 633 ადრე რეპრესირებული პირი.

რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ბოლო დროს სულ უფრო მეტი მასალები ქვეყნდება ჩვენი რეპრესირებული თანამემამულეების შესახებ. მათი საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი ეძღვნება რეაბილიტირებულ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებს და მეცნიერებს. მათ განსაკუთრებული პოზიციები ეკავათ სოციალისტური მშენებლობის გზებისა და მეთოდების განსაზღვრაში, მაგრამ მათს შეცდომებსა და განსაკუთრებულ პოზიციებს არ ჰქონია ანტისახელმწიფოებრივი და ანტიპარტიული ხასიათი.

პირთა რეაბილიტაციასთან დაკავშირებულ საქმეთა გამო გაწეული მუშაობის შესახებ სხდომაზე ინფორმაციებით გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომისიის თავმჯდომარე სერგი რიგვავა, რესპუბლიკის პროკურორი ვახტანგ რაზმაძე, საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოსთან არსებული 30-40-იანი წლებისა და 50-იანი წლების დამდეგის პერიოდში რეპრესიების მსხვერპლთა მიმართ სამართლიანობის აღდგენის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი დევი სტურუა, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო პროკურორი ვასილ ივანოვი.

პარტიული კონტროლის კომისიის ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილება „30-40-იან წლებში და 50-იანი წლების დამდეგს დაუსაბუთებლად რეპრესირებულ პირთა რეაბილიტაციასთან დაკავშირებული მუშაობის დამთავრების დამატებითს ღონისძიებათა შესახებ“ ცნობად არის მიღებული და რეკომენდებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე განსახილველად. (საინფორმი).

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მესამე სესია

# მიწის ბედი ხალხის ბედია

**საკადესის საპარლამენტო კორესპონდენტები კრემლიდან გვატყობინებენ**

**სსრ** კავშირის უზენაესი საბჭოს მორიგ პლენარულ სხდომაზე, რომელიც 20 თებერვალს დილით გაიხსნა ა. ი. লুკიანოვის თავმჯდომარეობით, უზენაესი საბჭოს წევრებმა თავმჯდომარის წინადადებით განაგრძეს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტის განხილვა.

როგორც ამ საკითხის თაობაზე გამართული დისკუსიის წინა რაუნდებში, ამჯერადაც იყო. იმათი წინააღმდეგობა, ვინც დარწმუნებულია, რომ გლეხებს უთუოდ უნდა მიანაჭონ მიწის საკუთრების უფლება, და იმათიც, ვინც ამაში ნაადრევ და სახიფათო ნაბიჯსაც კი ხედავს, როგორც, მაგალითად, დეპუტატი ა. თ. კასიანოვი ფიქრობს, პროექტის მიერ შემოთავაზებული „უკუღმა კოლექტივიზაცია“ ვერ გამოკვებავს ქვეყანას. მისი აზრით, უნდა უზრუნველვყოთ არსებული მეურნეობების ქმედუნარიანობა, მათ მიერ წარმოებული პროდუქციის დაცვაშენახვა და გადამუშავება. ასეთი პასუხსაგები დოკუმენტი არ შეიძლება ავამოქმედოთ ნაჩქარევად, იგი ჯერ უნდა მოიწონონ რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების ახალმა შემადგენლობებმა.

გლეხთა ინდივიდუალური მეურნეობების მომავლისა და პერსპექტივების თაობაზე სკეპტიკური შეხედულება გამოთქვა დეპუტატმა ვ. შტეპამ. მან დამსწრეთ მოუწოდა ყურადღება მიაპყრონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სამეცნიერო და ტექნიკური პოტენციალის ამაღლებას.

მტკიცედ აღუდგა წინ მიწის საკითხში სტატუს-კვოს კონსერვაციის მომხრეებს დეპუტატი ვ. ი. ბელოვი. როგორც მან თქვა, „მარქსიზმზე დაფუძნებული ბატონყმობა უნდა. მოისპოს და გლეხი უნდა გახდეს თავისუფალი ყველაფრისაგან, მიწის გარდა“. თუ ჩვენს კამათსა და სხდომებს ისტორიაში დარჩენა უწერია, შენიშნა მან, ეს მოხდება მხოლოდ დღეს ამ უმნიშვნელოვანესი კანონის მიღების წყალობით.

განსახილველი დოკუმენტის უდიდესი მნიშვნელობის შესახებ აზრს დაეთანხმა ორატორთა უმრავლესობა, რომლებსაც შეჰქონდათ მისი მუხლების როგორც სტილისტური, ისე პრინციპული ხასიათის შესწორებები.

დისკუსია კანონპროექტის გარშემო დამთავრდა. ხმათა უმრავლესობით დეპუტატებმა მოიწონეს ძირითადად მეორე კითხვაში განხილული პროექტი. პარლამენტის აგრარული საკითხებისა და სურსათის, კანონმდებლობის, კანონიერებისა და მართლწესრიგის საკითხების კომიტეტებს ყველა სხვა კომიტეტისა და პალატების მუდმივი კომისიების წარმომადგენელთა მონაწილეობით სახალხო დეპუტატთა მიერ გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით დაევალათ ერთ კვირაში დახვეწონ პროექტი და მისაღებად შეიტანონ იგი სსრ კავშირის უზენაეს საბჭოში.

სესიის მონაწილეებმა მიიღეს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მიმართვა. მასში, კერძოდ, უზენაესი საბჭო ავალებს სსრ კავშირის მთავრობას, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს ადგილობრივ ეროვნულ-ეროვნულ ბაზაზე ეროვნული ეროვნული ეროვნული

## ინფორმაცია მთავრობის სახლიდან

### „ხმად მღალადებლისა“ თუ ცოცხალი არხი?

**სხდომა** მთავრობის თავმჯდომარის ნოდარ ჭითანავას მიერ შეტანილი წინადადების განხილვით დაიწყო: ინფორმაციის განყოფილებამ (რომელიც ახლახან შეიქმნა) პრეზიდიუმის ყოველ სხდომას წარუდგენს ოპერატიული მოხსენება იმის შესახებ, თუ მასობრივი ინფორმაციების პუბლიკაციებში რა საკითხები წამოიჭრა, რა შენიშვნები და წინადადებები გამოითქვა მთავრობის მოღვაწეობის, მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების, თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურის სფეროების იმ პრობლემათა შესახებ, რომლებიც მინისტრთა საბჭოს ყურადღებას, ჩარევას საჭიროებს, აქტუალურია და გადასაწყვეტი.

ეს წინადადება პრეზიდიუმმა ერთხმად მიიღო.

**არჩუმენტები:** მინისტრთა საბჭოს აპარატი საზოგადოებრივ აზრში ორიენტირებული უნდა იყოს, ობიექტურად რომ განსაზღვროს რეალური მიზნები და ამოცანები.

შემდეგ: პოლიტიზებული საზოგადოების აზრს, რომელიც უხვად და მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი პრესის ფურცლებზე, ტელე და რადიოგადაცემებში ადექვატური რეაგირება სჭირდება: განსჯა-განხილვაც, საკუთარ პოზიციასთან შეჯერებაც, მატერიალიზებაც.

მთავრობამ, რომელსაც სურს სუვერენული სახელმწიფოს უმაღლესი საშემსრულებლო ინსტანცია იყოს, თავის ყოველდღიურ საქმიანობაში მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს საზოგადო აზრის

# გადანაცვლებული აქცენტები და ახალი რეალიები

### ჩანაწერები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის 14 თებერვლის სხდომიდან

მრავალწახნაგოვნება, მით უფრო, რომ მისი (რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს) მოღვაწეობის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი მაგისტრალური მიმართულებით სწორედ ასეთია (ეს ცნობილია და მე მხოლოდ შეგახსენებთ): **საზოგადოებასთან უმჯიდროესი კავშირი, დიალოგი ხალხთან, ყველა პოლიტიკურ მიმართულებასთან, დიალოგიდან კონსოლიდაციამდე, ეროვნული მოძრაობის დაცვამდე მაღალზნეობრივ საფუძველზე.**

ფრთიერთობათა სისტემის ჩამოყალიბების მიმდინარე პროცესში პუბლიკაციებზე მთავრობის რეაგირება საერთო კონსტრუქციის შემადგენელი და აუცილებელი ნაწილი ხდება,რეაგირება ოპერატიული, ადექვატური, როდესაც გამოირიცხული იქნება აზრის მონოპოლიზებაც, ყველა წინადადებაზე აუცილებლად კვირის დაკვრაც „უბლიცისტური ტერორიც“ და შავი ყუთის ეფექტიც.

ნოდარ ბეთანიშვილი, საქტელერადიოს პოლიტიკური მიმოხილვევი იმავე საღამოს ტელეეკრანიდან იტყვის, რომ მიღებული გადაწყვეტილება პოლიტიკური აქცენტების გადანაცვლების მაგალითია: მთავრობა მორიგ „სახელმძღვანელო მითითებას“ კი არ აძლევს ჟურნალისტებს, არამედ თვითონ (საკუთარი ინიციატივით) ხსნის ცოცხალ არხს, რომლის მეშვეობით მათი (ჟურნალისტების), ხალხის აზრი მოვა მთავრობაში და გათვალისწინებული იქნება მის მიერ.

დიახ, გათვალისწინებული. ურთიერთობის ეს ფორმა ინფორმაციებისა და ორიენტირების გარდა საკითხების შესწავლას და, საჭიროების შემთხვევაში, მთავრობის ჩარევასაც გულისხმობს.

არ უნდა დარჩეს საზოგადოებრივი აზრი ხმად მღალადებლისა ბიუროკრატიული დერეფნებისა და დაბუნდოვანი კაბინეტების გამოფიტულ უდაბურობასა შინა!

**რეალობა:** წინა კვირის მანძილზე რესპუბლიკის პრესაში საყურადღებო შენიშვნები და მოსაზრებები გამოქვეყნდა.

მაგალითად: —

— პავლე ინგოროყვასა და სარგის კაკაბაძის მემკვიდრეობის, მათი არქივების მოვლა-პატრონობისა და გონივრულად გამოყენების, მეცნიერთა უმნიშვნელოვანესი ნაშრომების გამოცემის შესახებ (პროფ. მ. კაკაბაძე, „თბილისი“, 4 თებერვალი);

— დავით კლდიაშვილის, პოლიკარპე კაკაბაძის სახელების მინიჭების შესახებ რესპუბლიკის თეატრებისათვის (7 წლის წინ დაუსვამთ ეს საკითხი მინისტრთა საბჭოს წინაშე), დღეს გრიგოლ რობაქიძის სახელიც ემატება. (ზ. ბახტაძე, კ. სიგუა, სხვები, „ლიტერატურული საქართველო“, 9 თებერვალი);

— მინისტრთა საბჭოსთან კონვერსიის მაკოორდინირებელი ორგანოს შექმნის აუცილებლობის შესახებ (მეცნიერებათა დოქტორი ნ. რამიშვილი, „თბილისი“, 8 თებერვალი), ეკონომიკური განვითარების პრობლემური საკითხები „კომუნისტში“, „ზარია ვოსტოკაში“ და სხვა.

ყველა ამ საკითხის შესწავლა-გაანალიზება და წინადადებების წარმოდგენა პრეზიდიუმმა მინისტრთა საბჭოს შესაბამის განყოფილებებს დაავალა.

ასეთია რეალობა ანუ პრაქტიკა.

და კიდევ ასეთიც, თითქოს „მორიგი საკითხის“ — იაკობ გოგებაშვილის საიუბილეო კომისიის შემადგენლობის განხილვის დროს: სხდომის თავმჯდომარის რეპლიკაში რომ გამოიხატა: ამგვარი ღონისძიებების მომზადება-ჩატარების ტრადიციული სტერეოტიპის დარღვევისა და კომისიების შემადგენლობაში საზოგადოებრივ მოძრაობათა და გაერთიანებათა წარმომადგენლების აუცილებლად ჩართვის შესახებ. ასეც გადაწყდა.

ესეც შტრიხი ეროვნული პოლიტიკის.

### დემოგრაფია: კარდინალური მიმართულებიდან პიროვნებამდე

**„საქართველოს** სსრ ეროვნული განვითარების კონცეფციის წარმატებით რეალიზაციისათვის უაღრესად დიდი და პრინციპული მნიშვნელობა აქვს აქტიური ეროვნული სახელმწიფოებრივი დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავებასა და გეგმაზომიერ განხორციელებას. ამიტომ თავისი საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად მთავრობამ დემოგრაციული სიტუაციის გაჯანსაღება განსაზღვრა“, — ასეთია სტრატეგია, რეალისტური, რადგან კონკრეტული საქმეებით ისხამს იგი ხორცს.

**ფაქტები რუბრიკისათვის „საქმეები სტრიქონებში“:** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან შეიქმნა დემოგრაფიული ცენტრი (ხელმძღვანელი პროფესორი ლეო ჩიქავა); ბოლნისის, დმანისის, მარნეულის, ახალქალაქის და ა. შ. რაიონებში, პრაქტიკულად მთელს სამხრეთში აიგო და შენდება ახალი დასახლებანი კომუნიკაციების ფართო ქსელით, სოციალური დანიშნულების ობიექტებით სტიქიით დაზარალებული საქართველოს მთიანეთის მოსახლეობის დასამკვიდრებლად: მთავრობამ ამასწინათ 1000-მდე სახლი შეისყიდა მათთვის ადგილობრივი მოსახლეობისგან. სვანეთიდან, აჭარიდან, ლეჩხუმიდან და ა. შ. აყრილები დაიდგენენ აქ ბინას; ფართოვდება სამედიცინო-პროფილაქტიკური მომსახურების ბაზა.

აქ დავსვამ წერტილი, რადგან სწორედ ეს უკანასკნელი თემა გვაინტერესებს.

და აქედანვე გავაგრძელოთ **ამბავი დაუგეგმავი კამათისა ანუ ფრიდონ თოდუა.**

კადრების დანიშვნა-გადაყვანა ჩვეულებრივ პირველ საკითხად დგას დღის წესრიგში და ჩვეულებრივ დიდი კამათისა და განხილვის გარეშე მტკიცდება. კანდიდატურას (იყო ასეთი ტერმინი ბიუროკრატიულ ყარგონში) შემოვლილი აქვს ყველა კაბინეტი გადანახულებაზე მისული პატარძალივით, ყველა იცნობს (კიდევ ჩვენი სპეციფიკა, ყველამ ყველაფერი რომ იცის წინასწარ) და მოულოდნელი და გასარკვევი არაფერი.

სწორედ ეს ჩვეულებრივობა დაირღვა იმ დღეს.

ბევრჯერ განქიქებული კანცელარიული სტილის რამდენიმე სტრიქონით გადმოცემული იყო ფაქტი, რომელიც ყველა დამსწრეს დადებითი ემოციის გამოხატვის მიზეზი გახდა.

**პროექტიდან:** „ჩაითვალოს პროფესორი ფრიდონ თოდუა აკადემიკოს ე. ფიფიას სახელობის ამიერკავკასიის თბილისის რკინიგზის კლინიკურ საავადყოფოში გადმოყვანილად დიაგნოსტიკური ცენტრის ხელმძღვანელის თანამდებობაზე“.

პროფესორი ფრიდონ იპოლიტეს ძე თოდუა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის კურსდამთავრებულია, 1970 წლიდან მოსკოვშია, ვიშნევსკის სახელობის ქირურგიის ინსტიტუტში, დაიწყო უფროსი ლაბორანტობიდან. კომპიუტერული ტომოგრაფიის გნეყოფილებას ხელმძღვანელობდა ბოლოს. არის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, კომპიუტერულ ტომოგრაფიაში ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი, 240 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, ორი მონოგრაფიის.

ტრავმატული ოპერაციების გარეშე ავადყოფთა მკურნალობის დახურული, უსისხლო მეთოდი საბჭოთა კავშირში პირველად მან დაამუშავა და თვითონვე დანერგა. მსოფლიო პრაქტიკაში მან პირველმა განახორციელა კომპიუტერულ-ტომოგრაფიული არტერიოგრაფია თირკმელებისა და კუჭისქვედა ჯირკვლის ქირურგიულ დაავადებათა სტადიების გამოვლენის მიზნით; პანკრეატიდისა და მისი გართულებების ქირურგიული მკურნალობის დამუშავებისათვის 1988 წელს მიენიჭა სახელმწიფო პრემია, იგი ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის, საერთაშორისო სამეცნიერო ასოციაციებისა და საზოგადოებების წევრია.

ბიოგრაფიული დეტალიზაცია ინფორმაციის სისრულისათვის მოგაწოდეთ, თორემ ეს ის თოდუაა, რომელთანაც ყველა გაჭირვებული ჩადიოდა საქართველოდან მოსკოვში კომპიუტერზე გასასინჯად. ჩვენი რესპუბლიკის თავისებური წარმომადგენლობა მასთან იყო გახსნილი, ზუსტად თქვა პრეზიდიუმის სხდომაზე ვიღაცამ.

ამიერიდან ასეთ შორ გზაზე, უცხო ქალაქში წასვლას აზრი აღარ ექნება.

საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ მთავრობის მოღვაწეობის მნიშვნელოვანი მიმართულებაა მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება-განმტკიცებისათვის სათანადო ბუნებრივი, მატერიალური, სოციალური პირობების შექმნა.

ამ სხდომაზე კი პრაქტიკულად დადგა საკითხი კომპიუტერთან, სხვადასხვა სისტემებით აღჭურვილი დიაგნოსტიკური ცენტრის შექმნის შესახებ. ამ ცენტრის მუშაობის თანამდროვე მოთხოვნილებათა და მსოფლიო სტანდარტების დონეზე ორგანიზებისა და წარმართვის მიზნით, აგრეთვე ახალგაზრდა სპეციალისტების აღზრდისათვის გადმოიყვანეს მოსკოვიდან თბილისში ჩვენი თანამემამულე ფრიდონ თოდუა, რომელსაც ბრწყინვალე კარიერა ელოდა იქ.

და იქნება რამდენიმე წელიწადს კიდევ მისი იქ დარჩენა მიზანშეწონილი ყოფილიყო. ასეთი შეკითხვაც დასვა სხდომის თავმჯდომარემ.

ომარ ვარძელაშვილი, მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე: სწორედ პერსპექტიული ახალგაზრდები სჭირდება ახლა საქართველოს.

ზურაბ მახარაძე, მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი: ამ დარგს პროფესორ თოდუას გარდა ვერავინ გაუძღვება, დიაგნოსტიკურ ცენტრს სხვა ვერავინ ააწყობს საქართველოში.

ირაკლი ანდრიაძე, სახალხო დეპუტატთა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე: ამასთანავე მას დიდი ხელისშეწყობა უნდა. გვახსოვს — კარგი სპეციალისტები გადმოსულან, ცოტა ხანში უკან გაბრუნებულან. სამინისტროსთან ერთად აღმასკომიც უნდა ამოუდგეს მხარში და ნაყოფიერი მუშაობისათვის ყველა პირობა შეუქმნას.

სწორია.

(იმ მიზეზითაც წასულან, გულგატეხილად რომ ამოუთქმევინებია ჩვენი წინაპრისათვის „ათას შორს“ აქეთა თაობის გასაფრთხილებლად თითქოს:

**„კარგ უმასა ჰშურობს სოფელი, იტყვიან: კარგი რად არი? საქმე რომ გაუჭირდება, ყველა იბარებს — სად არი?“.**

იმიტომაც, რომ ადამიანები იშვიათად პატიობენ ქალს სილამაზეს, კაცს — ჭკუას.

და თუ დიდოსტატ კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენის“ ფინალური შეგონებას გაიხსენებთ, მიხვდებით, რასაკვირველია, რაიც მიგანიშნეთ).

გურამ მგელაძე, თავმჯდომარის პირველი მოადგილე: უამრავი საკეთილ მქმნელი კაცია პროფესორი თოდუა. იმათი გვარებიც შეიძლება დაგისახელოთ, ვინც სიკვდილს გადაარჩინა. ვიშნევსკის სახელობის ინსტიტუტშე კი არა, მოსკოვის ნებისმიერ საავადყოფოში სხვა ქალაქიდან ჩაყვანილი ავადმყოფის მოთავსება უამრავ სიძნელესთან არის დაკავშირებული. იგი ახერხებდა, დროსაც პოულობდა დახმარებოდა ყველას, ვინც მიაკითხავდა და, რაც მთავარია, ავტორიტეტი ჰქონდა უაღრესად დიდი.

მედიცინის კორიფეები ბატონ ფრიდონის დასკვნის გარეშე არ აკეთებენ არც ერთ ოპერაციას.

დიდი ამაგი აქვს ბევრზე და ბევრზე. ამაგდარია. ბევრი ჰყავს მადლიერი, აქაც, ამ სხდომის მონაწილეთა შორისაც.

ვიქტორ შარაშენიძე, რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი: მე თვითონ ვიგრძენი, საკუთარ თავზე მისი აუდარდღება. იმის მოწმეც ვარ, ჩვენს თანამემამულეებს როგორ გადაჰყვებოდა ხოლმე თავის კლინიკაში. ამიტომ სწორედ მთავრობის სხდომაზე მივიჩნიე საჭიროდ მისთვის დიდი მადლობა მეთქვა.

მადლობა. ალბათ მადლობის სათქმელად, პატივისცემის გადასახდელად ბევრი მივა ფრიდონ თოდუასთან: მოწვევა, მიპატიჟება. იქნება, მაგრამ...

ექიმი თავგანწირული კაცია, ბევრ სიამოვნებაზე უარის მთქმელი, საქმეს, ავადმყოფს გადაგებული, თვითონ დაავადებული დროის უკმარისობით, მით უფრო მაშინ, როდესაც ყველას სჭირდება. და მაინც უჭირს ხოლმე უარის თქმა, როდესაც სულითა და გულით მიიპატიჟებენ.

ნუ ჩაიყენებთ უხერხულ მდგომარეობაში ფრიდონ თოდუას, მეგობრებო! როცა დროს გამონახავს, თვითონ მოვა. ახლა ის ხალხს სჭირდება.

ტაქტიანად, ხუმრობით ესეც ითქვა პრეზიდიუმის სხდომაზე. მეც გავბედე გაზეთის ფურცლებზე ეგამომეტანა — საყურადღებოდ.

კინაღამ დამავიწყდა — პროფესორი ფრიდონ თოდუა მხოლოდ 45 წლისაა.

ასე დაუკავშირდა დემოგრაფია, მედიცინა, პიროვნება ერთმანეთს.

### ორი ინტერვიუ ანუ დავუბრუნდეთ გადატანილ საკითხს

**ოჯახერ** გადაიდო საკითხი პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მუშაობის შესახებ.

პრეზიდუმმა მიიჩნია, რომ მთავარ პრობლემას ვერ წყვეტდა — ინსტიტუტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა სურვილის დონეზე, თანაც გაურკვეველი მომავლისათვის გადაიდებოდა. ამ აზრს იზიარებდა ადრე მოცემულ ინტერვიუში პროფესორი თამაზ ჭურაძეც:

— ჩვენთვის მთავარი ახლა შესაფერისი შენობაა. არსებული ამორტიზებულია. საწოლების რაოდენობა სამოც ერთეულს არ აღემატება, დაბალია სამედიცინო მომსახურების დონე. ელემენტარული პირობებიც არა გვაქვს თანამედროვე სტანდარტებით სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაწლისათვის. რესპუბლიკაში ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვისათვის მოწოდებულ მთავარ სამეცნიერო ცენტრს არ გააჩნია რეანიმაციისა და ინტენსიური თერაპიის, ბავშვთა ქირურგიის, კლინიკური გენეტიკის, ენდოკრინოლოგიის, გასტრენტოლოგიური, სკოლამდელი და სასკოლო ჰიგიენის განყოფილებები. აღარფერს ვამბობ ციტოლოგიურ და ვირუსოლოგიურ ლაბორატორიაზე, ფსიქოთერაპიის კაბინეტზე, მოძრავ ლაბორატორიებზე პერიფერიისათვის.

და როდესაც 14 თებერვალს საკითხი განიხილეს პრეზიდიუმზე,— გაამართლა თუ არა თქვენი იმედი მიღებულმა გადაწყვეტილებამ? — ვკითხე პროფესორს.

— ეს მართლაც შემობრუნების მომენტი იყო, — მიპასუხა მან.

ძნელი შემობრუნების, დავუმატებდი.

ბინა ახლა ყველას უჭირს — ოჯახებსაც და დაწესებულებებსაც, მათ შორის სამკურნალო დაწესებულებებს.

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ მთავრობას წინადადებით მიმართა — პედიატრიის ინსტიტუტისათვის გადაეცათ ქალაქის მეშვიდე საავადყოფოს ერთ-ერთი შენებარე კორპუსი.

ქალაქის აღმასკომი გასაგები მიზეზების გამო წინააღმდეგი იყო — მას ხომ თავისი გასჭირვებოდა!

მაგრამ საქმე ბავშვების ჯანმრთელობას ეხებოდა და, როგორც ჩანს, სწორედ ეს იყო პრეზიდიუმის წევრთა ერთსულოვნების მთავარი პირობა, როდესაც მათ ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს. თუმცა (ალბათ ამბის გამოტანად არ ჩამეთვლება) ასეთი ერთსულოვნება ყოველთვის, ყველა საკითხის განხილვის დროს არ არის ხოლმე.

— პედიატრიის ინსტიტუტის საკითხი ისე რომ გადაწყდა, პირველადაა მისი არსებობის 30 წლის მანძილზე, აგრძელებს მთავარი ექიმი.

(„პირველად“, „პირველად“ — მერამდენჯერ ვისმენ ასეთ შეფასებას მათგან, ვისაც ურთიერთობა აქვს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან და რაც უფრო ხშირად ვისმენ, მით უფრო ვთავისუფლდები იმ ეთიკური აკრძალვისგან, რითაც მოქმედიც და გამგონეც თავს აღწევენ უხერხულობას. რატომ, იცით? დრომ მოიტანა. და თუ რომელიმე ერთი სიტყვა გამოდგება დროის განმსაზღვრელად, სწორედ იგი იქნება — პირველად).

აქამდეც იდგა შენობის საკითხი — პირველად გადაწყდა; კატეგორიის მინიჭებისა და ხელფასის მომატებაზეც იგივე შეიძლება ითქვას.

მთავრობის თავმჯდომარემ ჩვენი სატკივარი გულთან ახლოს იმიტომ მიიტანა, რომ თვითონ დათვალიერა ინსტიტუტი, (სხვათა შორის ესეც პირველად მოხდა), ყველაფერი ნახა, მოისმინა და გაიგო.

ინსტიტუტის 11 განყოფილება მთელ ქალაქშია მიმოფანტული. მიზეზი — ფართობის უკმარისობა. შედეგი — გართულებული, თითქმის შეუძლებელი მართვა, რაც თავისთავად მკურნალობის ორგანიზაციის დონეს აქვეითებს. შესაძლებლობა მოგვეცემა ახალი

## საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ

# სიახლეთა ნიშნით

**ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ესაუბრა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან არსებული იურიდიული საკონსულტაციო ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილეს, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების კონსულტანტს ლია ცინდელიანს.**

**— ქალბატონო ლია, ამ ეტაპზე საარჩევნო კამპანია უკვე მთელი სიძლიერით შლის ფრთებს. რა თქმა უნდა, ამოსავალი პრინციპი უნდა იყოს საჯაროობა. როგორ არის ეს კანონის ენით გამოხატული.**

— მეტად მნიშვნელოვანი და პასუხსაგები პერიოდი დგას საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, მიმდინარეობს წინასაარჩევნო კამპანია. იგი თავისი შინაარსით განსაკუთრებულია, რადგან 70 წელზე მეტი ხნის მანძილზე წელეულს პირველად ტარდება დემოკრატიული არჩევნები საბჭოთა ქვეყანაში, პირველად ვიცავთ საჯაროობის პრინციპებს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შესახებ საქართველოს სს რესპუბლიკის კანონის მე-7 მუხლის თანახმად საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების მომზადებასა და ჩატარებას ახორციელებენ საარჩევნო კომისიები. შრომითი კოლექტივები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მოძრაობები, საშუალო სპეციალური და უმაღლეს სასწავლებელთა **კოლექტივები,**

არჩევნები ტარდება ღიად და საჯაროდ, რაც კონკრეტულად შემდეგში გამოიხატება:

საარჩევნო კომისიები მოქალაქეებს აცნობენ თავიანთ მუშაობას, საარჩევნო ოლქებისა და უბნების შექმნას, მოსახლეობას აწვდიან ცნობებს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების შესახებ, აცნობენ რეგისტრაციაში მათი გატარების შედეგებს, რეგისტრირებულ კანდიდატთა ბიოგრაფიულ მონაცემებს და მათი წინასაარჩევნო პროგრამების ძირითად დებულებებს, თითოეული კანდიდატის კენჭისყრისა და არჩევნების შედეგებს.

არჩევნებთან დაკავშირებით ჩვენი კანონმდებლობის სიახლეს, რომელიც საჯაროობას განსაკუთრებულად უსვამს ხაზს, წარმოადგენს ის, რომ საარჩევნო კომისიების სხდომებზე და ხმის მისაცემ შენობებში დასწრების უფლება აქვთ შრომითი კოლექტივების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობების, საშუალო სპეციალური და უმაღლეს სასწავლებელთა კოლექტივების, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა და ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებების (ყრილობების) ოქმებისა და ანგარიშების, შრომითი კოლექტივებისა, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობების, საშუალო სპეციალური და უმაღლეს სასწავლებელთა კოლექტივების, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა და ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებების (კონფერენციების) ოქმებზე ამონაწერებით, ხოლო დეპუტატობის კანდიდატის წარმომადგენლის უფლებამოსილებას ადასტურებს თვითონ დეპუტატობის კანდიდატი საუბნო საარჩევნო კომისიის სახელზე დაწერილი განცხადებით.

კრების ოქმის ამონაწერი, ისევე როგორც განცხადება, შესაბამის კომისიას უნდა გადაეცეს სხდომამდე არა უგვიანეს სამი დღისა. საარჩევნო კომისიამ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს 24 საათის განმავლობაში ან დადებითი ან უარყოფითი. უარის თქმის შემთხვევაში საარჩევნო კომისია იძლევა დასაბუთებულ წერილობით პასუხს, რომლის გასაჩივრებაც შემდეგ შეიძლება საარჩევნო კომისიაში.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლებისათვის გარანტირებულია შეუფერხებელი დასწრება არჩევნებთან დაკავშირებულ ყველა კრებასა და სხდომაზე.

**— კარგა ხანია უკვე დამთავრდა დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება და მიმდინარეობს რეგისტრაცია...**

— დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება დამთავრდა 7 თებერვალს 24 საათზე და დაიწყო რეგისტრაცია.

სხვათა შორის, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მივაწვდინო ხმა საქართველოს სსრ ყველა მოქალაქეს, რომ რეგისტრაციის ბოლო ვადაა 22 თებერვალი, ანუ რეგისტრაცია წყდება 22 თებერვალს 24 საათზე.

აღსანიშნავია, რომ საარჩევნო კამპანიის ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპია რეგისტრაციის ეტაპი, რომლის დროსაც ხდება დასახელების ყველა ნიუანსის კანონიერებისა თუ უკანონობის დაზუსტება, ყველა მოქმედების შეფასება, რათა თავიდან ავიცილოთ შეცდომა თუ კანონის შეგნებულად დარღვევა.

ნებისთა თუ უნებლიეთ რომ არ დავუშვათ შეცდომები რეგისტრაციის დროს, აუცილებელია საოლქო საარჩევნო კომისიის ყველა წევრმა ზედმიწევნით იცოდეს კანონი საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ და საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის საინსტრუქციო წერილი საოლქო საარჩევნო კომისიების მუშაობის ზოგიერთი საკითხების შესახებ.

კანდიდატების რეგისტრაციის დროს ყველაზე მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან დასახელებას.

33-ე მუხლის თანახმად, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობებისაგან დეპუტატობის კანდიდატებს ასახელებენ მათი რესპუბლიკური, საოლქო, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული ორგანოები. ხოლო თუ ასეთი ორგანოები არ არის შექმნილი, პირველადი ორგანიზაციების საოლქო რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული კონფერენციები. უფრო რომ დავაზუსტოთ, საზოგადოებრივი ორგანიზაციის რესპუბლიკურ ორგანოს უფლება აქვს დასახელოს საქართველოს 300-ვე ოლქში თითო დეპუტატობის კანდიდატი, საოლქო ორგანოს — ამ ოლქის ტერიტორიაზე შექმნილ ყოველ საარჩევნო ოლქში, რაიონულ, საქალაქო, ქალაქის რაიონულ ორგანოებს — შესაბამისად მათ ტერიტორიაზე შექმნილ ყოველ საარჩევნო ოლქში.

საზოგადოებრივი ორგანიზაცია თუ მოძრაობა, რომელმაც დასახელა დეპუტატობის კანდიდატები, „მოქალაქეთა გაერთიანებების წესდების რეგისტრაციის დროებითი წესების შესახებ“ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 6 ივლისის ბრძანებულების თანახმად უნდა იყოს რეგისტრირებული შემდეგნაირად:

საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომლის საქმიანობა მოიცავს ერთი რაიონის ტერიტორიას, ამ რაიონის დეპუტატთა საბჭოს მიერ, თუ მოიცავს ქალაქის ტერიტორიას, — ქალაქის საბჭოს მიერ, ხოლო თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციის საქმიანობა მოიცავს მთელ რესპუბლიკას ან ორი და მეტი რაიონის, ან რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის ტერიტორიას, — რეგისტრაციაში უნდა გაატაროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ.

გვხვდება შემთხვევებიც, როდესაც რეგისტრირებულია საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან მოძრაობის რესპუბლიკური ორგანო მინისტრთა საბჭოში და სთხოვენ ცალკე რეგისტრაციას მის რაიონულ ორგანიზაციებს (ანუ სტრუქტურულ ერთეულებს), რათა დაასახელონ დეპუტატობის კანდიდატები, მაგრამ ეს არ არის აუცილებელი.

მაგალითი: რადგან საქართველოს სახალხო ფრონტი რეგისტრირებულია საქართველოს მინისტრთა საბჭოს მიერ და იურიდიულად ცნობილია რესპუბლიკურ საზოგადოებრივ ორგანიზაციად, მის ძირეულ რგოლებს, რომელსაც ითვალისწინებს სახალხო ფრონტის წესდება, არ სჭირდებათ ცალკე რეგისტრაცია შესაბამისი საბჭოების მიერ, რამდენადაც ამ ორგანიზაციის შემადგენელ ერთეულებს წარმოადგენენ. მათს რეგისტრაციას ახდენს თვითონ სახალხო ფრონტის გამგეობა.

ხოლო თუ რა წარმოადგენს ამა თუ იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციის რესპუბლიკურ ორგანოს — გამგეობა, საბჭო თუ სხვა, ეს უნდა დავაზუსტოთ მათი წესდების მიხედვით.

დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისია შემდეგი დოკუმენტები: დეპუტატობის კანდიდატთა შესახებ კრებების (სხდომების, კონფერენციების) ოქმები (რა თქმა უნდა, თუ მათში არ აღმოჩნდა შეცდომა) და დეპუტატობის კანდიდატთა განცხადებები იმის შესახებ, რომ თანახმა არიან კენჭი იყარონ ამ საარჩევნო ოლქში.

მე-11 მუხლში ჩამოთვლილია თანამდებობის პირთა წრე, რომლებმაც დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებისას თავიანთ განცხადებებში უნდა აღნიშნონ, რომ აპირებენ გაათავისუფლონ დაკავებული თანამდებობანი დეპუტატებად მათი არჩევის შემთხვევაში. წინაადგილზე შემთხვევაში საერთოდ არ გატარდებიან რეგისტრაციაში, რადგან აღნიშნულ პირთა თანამდებობრივ მდგომარეობასთან დეპუტატობის სტატუსის შეთავსება დაუშვებელია.

თუ პიროვნება უკვე არჩეულია სახალხო დეპუტატთა ორ საბჭოში და ამჟამად დასახელებულია საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად, რეგისტრაციაში მის გასატარებლად აუცილებელია აღინიშნოს განცხადებაში, თუ რომელი საბჭოს დეპუტატობის მოვალეობაზე ამბობს უარს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატად არჩევის შემთხვევაში. უამისოდ ისინი ვერ გატარდებიან რეგისტრაციაში, რადგან კანონის 2-ე მუხლის თანახმად საქართველოს სსრ მოქალაქე არ შეიძლება ერთდროულად იყოს ორზე მეტი საბჭოს დეპუტატი.

დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციის შესახებ საოლქო საარჩევნო კომისია ადგენს ოქმს. ოქმის დედანი იგზავნება ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, ხოლო ასლი რჩება საოლქო კომისიაში.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში გამოგზავნილ ოქმს დაერთვის: დეპუტატობის კანდიდატის განცხადება იმის შესახებ, რომ თანახმაა კენჭი იყაროს ამ საარჩევნო ოლქში, კომისიის წევრთა განსაკუთრებული აზრი წერილობით (თუ ასეთი აზრი არსებობს) და დეპუტატობის კანდიდატის საარჩევნო ბარათი. რეგისტრაციის ოქმის ხელმოწერის შემდეგ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ეგზავნება ავრეთვე დეპეშა.

დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციის შესახებ ოქმის ასლს, რომელიც საოლქო საარჩევნო კომისიაში რჩება, დაურთავენ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობების, ამომრჩეველთა კრებების წარმომადგენელთა, ნდობით აღჭურვილ პირთა სიას მათი დასახელების შემდეგ, აგრეთვე ოქმებს დეპუტატობის კანდიდატების დასახელების შესახებ და კომისიის სხდომაზე დამსწრე პრესის, ტელევიზიის, რადიოს წარმომადგენელთა სიას.

იმ შემთხვევაში, თუ რეგისტრაციას არ ესწრება კომისიის თავმჯდომარე, ოქმს ხელს აწერს მის ნაცვლად თავმჯდომარის მოადგილე. კომისიის მდივნის არყოფნისას — ხელს აწერს კომისიის ერთ-ერთი წევრი. ოქმში განმარტებული უნდა იყოს, თუ რატომ არ აწერენ ხელს კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი ან წევრი (აღნიშნოს ავადაა, მივლინებაშია და ა. შ.).

საოლქო საარჩევნო კომისია დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციის შემდეგ, არა უგვიანეს მეოთხე დღისა, აქვეყნებს პრესაში ცნობას რეგისტრაციის შესახებ, რომლშიც აღინიშნება თითოეული დეპუტატობის კანდიდატის გვარი, სახელი და მამის სახელი, დაბადების წელი, დაკავებული თანამდებობა (საქმიანობა), სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი (ქალაქი, რაიონი, დასახლებული პუნქტი). რეგისტრირებულ დეპუტატობის კანდიდატს საოლქო საარჩევნო კომისია აძლევს მოწმობას.

**— ქალბატონო ლია, თქვენ აღნიშნეთ, რომ კანონის 11-ე მუხლში ჩამოთვლილია პირთა წრე, რომლებიც არ შეიძლება თანამდებობიდან გაუნთავისუფლებლად არჩეული იყვნენ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატებად. როგორ ფიქრობთ, სრულყოფილია ეს ჩამონათვალი?**

— ვფიქრობ, არა. ამ მუხლისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის 92-ე მუხლის ფ

# დაასახელეს დეპუტატობის კანდიდატები

(გაგრძელება)

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ნეიროფიზიოლოგიის ლაბორატორიის გამგე **ელგუჯა ხუციერაძის ძე მონიავა** — საქართველოს ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგთა საზოგადოებისაგან.

ალმანახ „ენგურის“ მთავარი რედაქტორი **ნიკოლაი ევგენის ძე ბართაია** — საქართველოს სახალხო ფრონტისაგან.

საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის განყოფილების უფროსი **მერაბ ვლადიმერის ძე გაბუნია** — სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული ინვალიდთა ასოციაციისაგან.

სსრ კავშირის მწერალთა კავშირის წევრი **ნოდარ ალექსანდრეს ძე წულაიძე** — საქართველოს სახალხო ფრონტისაგან.

მგსტიის რაიონული საავადმყოფოს მთავარი თერაპევტი **ლუბა გიორგის ასული ნიეარაძე** — საქართველოს სახალხო ფრონტისაგან.

კოლხიდის სატყეო მეურნეობის დირექტორი **ავთანდილ გრიგოლის ძე ტყეშელაშვილი** — ამ მეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან.

ამიერკავკასიის რკინიგზის სოხუმის განყოფილების საელექტრო დეპოს მემანქანე **ტარას იაკობის ძე გოჩალეშვილი** — საქართველოს სახალხო ფრონტისაგან.

ტალაქ გაგრის ზონის სოფელ ხეკინის № 1 საშუალო სკოლის მასწავლებელი **რაისა ორეხტის ასული უბილავა** — საქართველოს სახალხო ფრონტისაგან.

ენინგარეულის შენებლობის სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი **ნუგზარ ფილიმონის ძე ხიდაშელი** — საქართველოს სახალხო ფრონტისაგან.

აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი **გივი ნიკოლოზის ძე ლომინაძე** — სოხუმის რაიონის დასასვენებელი სახლის „გუმისთის“ შრომითი კოლექტივისაგან.

საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის რექტორი **ნაპოლეონ ირაკლის ძე ჭარქაშაძე** — სოხუმის რაიონის კოლმეურნეობა „კომუნიზმის გზის“ შრომითი კოლექტივისაგან.

სოხუმის წისქვილქარხნის დირექტორის მოადგილე **იშხან არუთინის ძე ზოპუნიანი** — სოხუმის რაიონის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან.

სსრ კავშირის სპორტსახკომის ოლიმპიური მომზადების ცენტრალური სპორტული ბაზის „ეშერის“ პოლიტგანათლების კაბინეტის გამგე **ბაკი საიდის ძე ავიძბა** — სოხუმის ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონული ორგანიზაციისაგან.

საქართველოს მიწათმოწყობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის უფროსი ინჟინერ-მიწათმოწყობი **ფარნაოზ შალვას ძე ლომაძე** — საქართველოს სახალხო ფრონტის სოხუმის რაიონის ბესლეთის რეგიონული ორგანიზაციისაგან.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის უფროსი ლაბორანტი **აბესალომ ავთანდილის ძე მიქელაძე** — სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების აფხაზეთის რეგიონული ორგანიზაციისაგან.

ქ. სოხუმის მთავარი არქიტექტორი **ნუგზარ ვალერიანის ძე დუდუჩავა** — საქართველოს არქიტექტურულ საპროექტო და სამშენებლო კოოპერატივების ასოციაციისაგან.

„აფხაზგორორემმშენის“ №6 სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს მუშა **ალექსი კონსტანტინეს ძე მინჯია** — სოხუმის ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონული ორგანიზაციისაგან.

სოხუმის რაიონის ახალსოფლის საშუალო სკოლის დირექტორი **ნონა კარლოს ასული ნაჭუყია** — ამ სკოლის შრომითი კოლექტივისაგან.

სოხუმის რაიონის კელასურის საშუალო სკოლის მასწავლებელი **ალა გრიგოლის ასული ვასილენკო** — საქართველოს სახალხო ფრონტისაგან.

